

**სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო
კრედიტინფო საქართველო“**

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	11
4. ამონაგები.....	11
5. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	11
6. სხვა ხარჯები.....	12
7. მოგების გადასახადის ხარჯი.....	12
8. ძირითადი საშუალებები	13
9. არამატერიალური აქტივები	14
10. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები.....	14
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	15
13. სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი	15
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	17
16. პირობითი ვალდებულებები	18
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს მს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძვლის წარმოადგენს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია განმარტოს ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი არსებითია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

25 თებერვალი 2021 წელი

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	4	6,652,914	7,046,386
სხვა შემოსავალი		16,320	18,835
საოპერაციო შემოსავალი		6,669,234	7,065,221
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	5	(1,389,896)	(1,674,196)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	8, 9	(937,579)	(481,287)
საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების მომსახურება		(797,062)	(660,988)
სხვა ხარჯები	6	(742,584)	(791,062)
საოპერაციო მოგება		2,802,113	3,457,688
ფინანსური შემოსავალი	12	170,435	220,928
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა		38,529	38,695
მოგება დაბეგვრამდე		3,011,077	3,717,311
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(529,412)	(176,471)
წლის სრული შემოსავალი		2,481,665	3,540,840

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 25 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ალექსანდრე გომიაშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ ირინა წიკლაური

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	798,306	404,560
არამატერიალური აქტივები	9	1,879,991	1,508,933
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	10	2,143,520	2,177,596
		4,821,817	4,091,089
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	813,241	791,100
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	4,073,142	5,524,216
		4,886,383	6,315,316
სულ აქტივები		9,708,200	10,406,405
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	13	271,310	271,310
საემისიო კაპიტალი	13	39,994	39,994
გაუნაწილებელი მოგება		9,221,561	9,739,896
სულ კაპიტალი		9,532,865	10,051,200
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	175,335	355,205
სულ ვალდებულებები		175,335	355,205
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9,708,200	10,406,405

10 – 23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	271,310	39,994	7,199,056	7,510,360
წლის სრული შემოსავალი	-	-	3,540,840	3,540,840
გამოცხადებული დივიდენდები			(1,000,000)	(1,000,000)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	271,310	39,994	9,739,896	10,051,200
წლის სრული შემოსავალი	-	-	2,481,665	2,481,665
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(3,000,000)	(3,000,000)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	271,310	39,994	9,221,561	9,532,865

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	3,011,077	3,717,311
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	937,579	481,287
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	-	26,990
ფინანსური შემოსავალი	(170,435)	(220,928)
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან	(38,529)	(38,695)
	3,739,692	3,965,965
შემცირება/(ზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(18,491)	216,412
შემცირება/(ზრდა) შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(152,986)	(52,024)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	3,568,215	4,130,353
გადახდილი მოგების გადასახადი	(529,412)	(176,471)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	3,038,803	3,953,882
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(543,745)	(276,742)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(1,158,638)	(548,502)
არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	-	(2,177,596)
საპროცენტო შემოსავალი	170,435	220,928
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,531,948)	(2,781,912)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(3,000,000)	(1,000,000)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,000,000)	(1,000,000)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა(შემცირება)	(1,493,145)	171,970
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	5,524,216	5,369,570
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	42,071	(17,324)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	4,073,142	5,524,216

1. ზოგადი ინფორმაცია

სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია (ID: 204470740) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (დაარსების თარიღი: 2005 წლის 14 თებერვალი). კომპანიის მისამართია თარხნიშვილის ქუჩა #2, 0179, თბილისი, საქართველო. კომპანია ფლობს საკრედიტო მონაცემთა ბაზას და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციას აწვდის ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, სალიზინგო კომპანიებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც გასცემენ სესხებს ან აწვდიან საქონელს და მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით.

კომპანიაში 2020 წლის 31 დეკემბერს დასაქმებული იყო 29 თანამშრომელი (2019: 29 თანამშრომელი).

2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს შემდეგი აქციონერები ფლობდნენ კომპანიის აქციებს:

	მფლობელობა, %	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
Credit info International GmbH (Creditinfo Group hf-ის შვილობილი)	36.76	36.76
სს „თიბისი ბანკი“	21.08	21.08
სს „პროკრედიტ ბანკი“	21.08	21.08
სს „საქართველოს ბანკი“	21.08	21.08
	100	100

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიუხედავად კოვიდ-19-ის გარკვეული უარყოფითი ეფექტისა კომპანიაზე, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
შემოსავალი საკრედიტო რეპორტებიდან	4,397,291	4,672,492
შემოსავალი დამატებითი პაკეტური ძიებებიდან	690,747	610,057
კრედიტინფო პრედიქტორი	666,035	563,665
მონაცემთა ბაზაში გაწვევრიანების საკომისიო	21,000	241,000
ჩემი კრედიტინფო	171,046	186,496
მონიტორინგი	116,760	126,555
სხვა მომსახურებები	590,035	646,121
	6,652,914	7,046,386

5. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(1,236,419)	(1,205,978)
ბონუსი	(77,183)	(396,996)
დაზღვევა	(76,294)	(71,222)
	(1,389,896)	(1,674,196)

6. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
იჯარა და სხვა საოფისე ხარჯები	(272,831)	(244,713)
საკონსულტაციო მომსახურება	(123,000)	(89,467)
როიალტი	(92,346)	(92,103)
ლიცენზიების ხარჯი	(57,620)	(41,779)
მოვალეთა რეესტრის გამოყენება	(50,847)	(50,847)
დაზღვევის ხარჯი	(42,892)	(36,550)
რეკლამის ხარჯები	(19,637)	(57,119)
კომუნიკაციის ხარჯები	(17,895)	(21,862)
საწვავის ხარჯი	(11,181)	(22,171)
კომუნალური ხარჯები	(7,526)	(7,831)
მივლინების ხარჯი	-	(34,412)
უიმედო ვალების ხარჯი	-	(26,990)
სხვა ხარჯები	(46,809)	(65,218)
	(742,584)	(791,062)

7. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანიამ მეწილეებზე გაანაწილა დივიდენდი 3,000,000 ლარის ოდენობით (2019: 1,000,000 ლარი). აღნიშნულ განაცემზე კომპანიამ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად 2020 წელს დაარიცხა მოგების გადასახადი 529,412 ლარის ოდენობით (2019: 176,471 ლარი).

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სერვერი	ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	-	167,930	139,925	307,855
შემოსვლა	255,148	21,594	-	276,742
2019 წლის 31 დეკემბერი	255,148	189,524	139,925	584,597
შემოსვლა	503,481	40,264	-	543,745
2020 წლის 31 დეკემბერი	758,629	229,788	139,925	1,128,342
დაგროვილი ცვეთა				
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(85,345)	(21,113)	(106,458)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(28,628)	(30,973)	(13,978)	(73,579)
2019 წლის 31 დეკემბერი	(28,628)	(116,318)	(35,091)	(180,037)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(102,400)	(33,621)	(13,978)	(149,999)
2020 წლის 31 დეკემბერი	(131,028)	(149,939)	(49,069)	(330,036)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 31 დეკემბერი	226,520	73,206	104,834	404,560
2020 წლის 31 დეკემბერი	627,601	79,849	90,856	798,306

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები	სერვერზე სივრცის გამოყენების უფლება	ლიცენზიები	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	2,119,459	797,498	-	2,916,957
შემოსვლა	548,502	-	-	548,502
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	2,667,961	797,498	-	3,465,459
შემოსვლა	490,483	551,948	116,207	1,158,638
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	3,158,444	1,349,446	116,207	4,624,097
დაგროვილი ამორტიზაცია				
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	(1,358,771)	(190,046)	-	(1,548,817)
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(254,198)	(153,511)	-	(407,709)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	(1,612,969)	(343,557)	-	(1,956,526)
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(583,158)	(200,050)	(4,372)	(787,580)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	(2,196,127)	(543,607)	(4,372)	(2,744,106)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	1,054,992	453,941	-	1,508,933
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	962,317	805,839	111,835	1,879,991

სერვერზე სივრცის გამოყენების უფლება შეძენილია 2017 წელს, კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილისგან - Creditinfo Solutions s.r.o-სგან, 679,197 ლარად. 2020 წელს წელს კომპანიამ დამატებით შეისყიდა სივრცე სერვერზე 551,948 ლარად. სერვერები განლაგებულია პრაღაში, კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილის Creditinfo Solutions, s.r.o-ს ტერიტორიაზე.

სერვერზე სივრცის გამოყენების უფლების ხანგრძლივობა შეადგენს 5 და 7 წელს, შესაბამისად.

10. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსი 2,143,520 ლარის (2019: 2,177,596 ლარი) ოდენობით წარმოადგენს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით Creditinfo solutions s.r.o.-სთვის გადახდილ თანხებს. ეს ავანსი გადახდილია 2019 წელს გაფორმებული ლიცენზიისა და მხარდაჭერის შესახებ შეთანხმების ფარგლებში. ხელშეკრულებაში გაწერილია მომწოდებლის მიერ კრედიტინფოს საოპერაციო პროგრამის, დანერგვის, ჰოსტინგის და დამატებითი მხარდაჭერის მომსახურების გაწევის პირობები. პროექტი სრულდება რამდენიმე ეტაპად და ხელშეკრულება ძალაშია 2030 წლის 31 დეკემბრამდე. 2020 წლის მდგომარეობით გადარიცხული ავანსი წარმოადგენს საოპერაციო პროგრამის დანერგვის მომსახურების პირველად გადასახადს. პროექტი უნდა დასრულებულიყოს 2020 წლის 31 დეკემბერს, თუმცა 2020 წლის აგვისტოში, COVID 19-ის გავრცელების გამო მხარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პროექტის დანერგვის ვადა გადეწიათ 2021 წლის ივლისამდე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან დარჩენილი 34,076 ლარი გადახდილი იყო რამდენიმე დამატებითი პროგრამის შესაძენად, რომელიც მიმდინარე წელს დაიწერა.

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები ბანკებისგან	477,746	399,554
სავაჭრო მოთხოვნები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან	160,509	207,240
სავაჭრო მოთხოვნები სალიზინგო კომპანიებიდან	43,954	30,086
სავაჭრო მოთხოვნები სხვა კლიენტებისგან	23,107	48,545
სულ ფინანსური მოთხოვნები	705,316	685,425
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	107,925	105,675
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	813,241	791,100

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულის და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	953,159	2,135,553
ფული სადეპოზიტო ანგარიშებზე	3,119,780	3,388,613
ნაღდი ფული	203	50
	4,073,142	5,524,216

სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებული ფული წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაზღაურებას 0.5-6.5% საპროცენტო განაკვეთით (2019: 2.5-5%). ამასთან ერთად, კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან: უცხოურ ვალუტაში არსებული თანხებიდან საშუალო წლიური 0.5%-ის ოდენობით (2019: 0.5%), ხოლო ეროვნულ ვალუტაში განთავსებული სახსრებიდან წლიური 0.5-6%-ის (2019: 4.5%) ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან და მიმდინარე ანგარიშებიდან შეადგენს 170,435 ლარს (2019: 220,928 ლარი).

13. სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი

ავტორიზებული და გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 27,131 ცალი თითოეული 10 ლარის ნომინალური ღირებულებით. 2020 და 2019 წლის განმავლობაში არ ყოფილა სააქციო და საემისიო კაპიტალის ცვლილება და მათმა ღირებულებამ შეადგინა 271,310 ლარი და 39,994 ლარი, შესაბამისად.

2020 წელს კომპანიამ გადაიხადა 3,000,000 ლარის ოდენობის დივიდენდი აქციონერთა წილის შესაბამისად (2019: 1,000,000 ლარი).

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	138,504	83,473
საგადასახადო ვალდებულება	33,791	34,171
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	2,228	129,866
ბონუსის ანარიცხი*	-	102,436
სულ ფინანსური ვალდებულებები	174,523	349,946
 არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	812	5,259
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	175,335	355,205

* კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, ბონუსის ანარიცხი აღიარდება, თუ შესრულდება გარკვეული საქმიანობის საკვანძო მაჩვენებლები (KPI-ები). ბონუსის ანარიცხი დირექტორის მიმართ არის კომპანიის ვალდებულება და იგი გაიცემა მას შემდეგ, რაც სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას. მიმდინარე წელს კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა დაგეგმილი საქმიანობის საკვანძო მაჩვენებლები.

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	დაკავშირებული მხარე	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
		ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის
არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი აგანსები		2,143,520	2,143,520	2,177,596	2,177,596
	სხვა	2,143,520		2,177,596	
Creditinfo CEE s.r.o.	დაკავშირებული მხარე				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		235,471	813,241	238,049	791,100
სს „საქართველოს ბანკი“		108,735		87,551	
	დამფუძნებელი				
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	83,444		79,751	
	სხვა	34,845		62,349	
Creditinfo CEE s.r.o.	დაკავშირებული მხარე				
სს „პროკრედიტ ბანკი“		8,447		8,398	
	დამფუძნებელი				
ფული და ფულის ეკვივალენტები		3,625,150	4,073,142	5,083,337	5,524,216
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	3,458,563		5,080,112	
სს „საქართველოს ბანკი“	დამფუძნებელი	166,587		3,225	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		114,316	175,335	45,550	355,205
	სხვა	114,316		45,550	
Creditinfo CEE s.r.o.	დაკავშირებული მხარე				

სს „საქართველო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

		2020		2019	
	დაკავშირებული მხარე	ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის	ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის
ამონაგები		1,917,254	6,652,914	1,692,870	7,046,386
სს „საქართველოს ბანკი“	დამფუძნებელი	982,093		900,400	
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	845,092		700,512	
სს „პროგრესიტი ბანკი“	დამფუძნებელი	90,069		78,558	
Creditinfo International GmbH	დამფუძნებელი	-		13,400	
სხვა ხარჯები		(130,130)	(742,584)	(93,260)	(791,062)
Creditinfo International GmbH	დამფუძნებელი	(92,346)		(93,260)	
სხვა					
Creditinfo CEE s.r.o.	დაკავშირებული მხარე	(37,784)		-	
საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების მომსახურება		(797,062)	(797,062)	(660,988)	(660,988)
Creditinfo International GmbH	სხვა დაკავშირებული მხარე	(782,847)		(655,638)	
Creditinfo CEE s.r.o.	დამფუძნებელი	(14,215)		(5,350)	
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტიდან		156,006	170,435	209,475	220,928
სს „თიბისი ბანკი“	დამფუძნებელი	156,006		209,475	

უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო	264,000	361,071

16. პირობითი ვალდებულებები

შეუქცევადი საოპერაციო იჯარა - 2020 და 2019 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს იჯარით აღებული ოფისი საოპერაციო საქმიანობისთვის შემდეგ მისამართზე: თარხნიშვილის 2, თბილისი, საქართველო. იჯარა არის საოპერაციო და მისი ვადაა ხუთი წელი. 2019 წლის პერიოდში აქტიური იჯარის ხელშეკრულება სრულდებოდა 2020 წლის 31 დეკემბერს. დასრულების შემდეგ კომპანიამ განაახლა ხელშეკრულება და გააგრძელა მისი ვადა დამატებით ხუთი წლით. კომპანიას წლის ბოლოს ჰქონდა შემდეგი ვალდებულები შეუქცევადი საოპერაციო იჯარებისთვის:

	2020	2019
ერთი წლის განმავლობაში	239,928	163,097
ორი-ხუთი წლის განმავლობაში	959,719	95,140
	1,199,647	258,237

16. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავა - 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაცია არ ყოფილა ჩართული არანაირ არსებით სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით, არ არის მოსალოდნელი არსებითი ზარალების წარმოშობა სასამართლო დავებთან დაკავშირებით. შესაბამისად, არ არის აღიარებული რაიმე სახის ანარიცხი.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა - კომპანიის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი. კომპანიის მიერ დასაკმაყოფილებელი რეგულაციები განსაზღვრულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებებში. მათ შორის ერთ-ერთი ბრძანების, N193/04 „საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, კომპანიის განადგებული კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3,000,000 ლარს. კომპანია სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაიზიარებას.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები გამოიყენება ყველა წარდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის ნათქვამი.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთობა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, და მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. სასარგებლო მომსახურების ვადები მიმოიხილება ყოველი წლის ბოლოს. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წრფივი მეთოდით კატეგორიების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სერვერი	5
სატრანსპორტო საშუალებები	10
ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინვენტარი	5-10

მიმდინარე ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ისინი არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის მოთხოვნებს.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალურ აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ცვლილება. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და ამორტიზდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად. ამორტიზაციის ხარჯი მოცემულია ცვლისა და ამორტიზაციის ხარჯების მუხლში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა 5-7 წელი.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კაპიტალში აღიარებულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება, როგორც „სააქციო კაპიტალი“. აქციების გამოშვებისას ნომინალური ღირებულების ნამეტით მიღებული თანხები კაპიტალში კლასიფიცირდება, როგორც „საემისიო კაპიტალი“.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს მს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძვლის წარმოადგენს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია განმარტოს ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი არსებითია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოვავაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:
დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)



შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

25 თებერვალი 2021 წელი

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	4	6,652,914	7,046,386
სხვა შემოსავალი		16,320	18,835
საოპერაციო შემოსავალი		6,669,234	7,065,221
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	5	(1,389,896)	(1,674,196)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	8, 9	(937,579)	(481,287)
საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების მომსახურება		(797,062)	(660,988)
სხვა ხარჯები	6	(742,584)	(791,062)
საოპერაციო მოგება		2,802,113	3,457,688
ფინანსური შემოსავალი	12	170,435	220,928
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა		38,529	38,695
მოგება დაბეგვრამდე		3,011,077	3,717,311
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(529,412)	(176,471)
წლის სრული შემოსავალი		2,481,665	3,540,840

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 25 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ა. გომიშვილი

ალექსანდრე გომიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ირინა წიკლაური

ირინა წიკლაური

10 - 23 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.